# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 2 20 0000971594

09/10/202(

**ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლ პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლი პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომშ - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭ ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე- პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი 66-ე მუხლის $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი 22-ე მუხლის $3^1$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნ აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთა შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორ „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციი მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილი აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერ
სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტი
მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრი
შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტი
მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულება
განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

**2. აღწერილობითინაწილიდადასაბუთება**

2.1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ
ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 2 მარტს №2020/1328 წერილით (ცენტრშ
რეგისტრაციის №268497) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „პოლიტიკის მეცნიერებისა დ
საერთაშორისო ურთიერთობების“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 8 მაისის № 366355 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - ნიუ
ვიჟენ უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლი
6 ივლისის №570672 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 20 ივლის
განახორციელა სააკრედიტაციო შეფასება უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 2 სექტემბერს წარმოადგინ
აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ
პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამ სობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | √ | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებულ
დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაშ
ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზ
აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

**2.4.** ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 22 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზ აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭო ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მე-3 და მე- სტანდარტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორ „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**3. სარეზოლუციონაწილი**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე- პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარები შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხი განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცები შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 201 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12 ხმი არცერთის წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ა გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „პოლიტიკის მეცნიერებისა დ საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადი მიენიჭოს აკრედიტაცია, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „პოლიტიკის მეცნიერებისა დ საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ა გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №970226 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ა გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1.ტერორიზმი, კიბერ-უსაფრთხოება დამომავლი სახელმწიფო, 2. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, 3. შესავალი საჯარ ადმინისტრირებაში, 4. საჯარო პოლიტიკა და 5. ფრანგული ენის (A1; A2.1; A2.2; B1.1; B1.2 სილაბუსებში დასკვნითი შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმების განსაზღვრა, რათ შეფასების პროცესი მეტად ობიექტური და ვალიდური იყოს. აღნიშნულ სილაბუსებში დღეი მდგომარეობით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 10 ქულიანი დიაპაზონი (40-31ქულა; 30-21 ქულა; 20-11 ქულა; 10-1 ქულა; 0-ქულა);

ბ) სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტში პროგრამა დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი პოლიტიკური ფილოსოფიის (ანტიკურიდა თანამედროვე ეპოქამდე) შესახებ.

5.ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 22 ივლისი.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge გამოქვეყნების დღეს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ

საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლ
დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭო
წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქ
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდე
მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნულ
გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართ
№3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 15/07/2015, N57 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მე-6 |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | ბაკალავრიატი |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | • სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში<br>• სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | - |
| 12 | კვალიფიკაციის კოდი | 0705<br>0702 |
| 13 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 14 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 15 | განხორციელების ადგილი | ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 16.10.2020 |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | 16.07.2021 |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 16.10.2027 |